ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.33/10/032

ქ. თბილისი 29 მაისი 2013 წელი

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის მ/შ თორნიკე ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „პაკო“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ცქიტიშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია 2 ერთეული მაღალი ძაბვის დენის ტრანსფორმატორის (სიმძლავრე 6000/100, კოდი კოეფიციენტი 30/5) შეძენა, ლაბორატორიული შემოწმება, დამწვარი ტრანსფორმატორების დემონტაჟი და ახლის მონტაჟი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;
2.2. CPV კოდი 51111300.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2102,76 (ორი ათას ასორი ლარი და 76 თეთრი) ლარს;
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;
3.3. ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის აპარატის თანამშრომლები.

6. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1 მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2013 წლის 5 ივნისი;
6.3 მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ნავლუღის ქუჩა №8-1, ისნის რაიონის გამგეობა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2013 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ისნის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
სს „ლიბერთი ბანკის“
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE95 LB01 2515 2101 6270 00
კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 208204959

გამგებლის მ/შ

---------- **ფ. ხუციშვილი**

მიმწოდებელი:

შპს „პაკო“
მის. ქ. თბილისი, ჩეჩელაშვილის 110
სს „საქართველოს ბანკი“

ა/ა GE67 BG00 0000 0937 2105 00
კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 401967804

დირექტორი

---------- **ა. ცქიტიშვილი**

ქ. თბილისი

29.05.2013 წ.

ქ. თბილისი, ისნის რაიონის გამგეობის
მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორის დემონტაჟის და მონტაჟის
ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

№	დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთ. ფასი	მთლ. ფასი
1	2	3	4	5	6
1	მაღალი ძაბვის დენის ტრანსფორმატორები 6000/100 კოეფიციენტი 40/5	კომპ.	1	1400,00	1400,00
2	დენის ტრანსფორმატორის დემონტაჟი და ახლის მონტაჟი, ლაბორატორიული შემოწმება				250,00
	ჯამი:				1650,00
	მოგება 8%				132,00
	ჯამი:				1782,00
	დღგ 18%				320,76
	ჯამი:				2102,76

შ.პ.ს. „პაკო"-ს
ს/კ 401967804
მის: ჩეჩელაშვილის 110
საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE67BG0000000937210500
დირექტორი: ა. ცქიტიშვილი

GEORGIA "PAKO" LTD * 401967804 * PAKO